# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

## ბრძანება №1-1/601
## 2019 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

## 2020-2022 წლების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსების დამტკიცების შესახებ

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №1-1/541 - ვებგვერდი, 17.12.2020 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1-1/556 - ვებგვერდი, 22.12.2021 წ.*

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

**მუხლი 1**
დამტკიცდეს თანდართული „2020 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი“ 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 1[1]**
დამტკიცდეს თანდართული „2021 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი“ 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №1-1/541 - ვებგვერდი, 17.12.2020 წ.*

**მუხლი 1[2]**
დამტკიცდეს თანდართული „2022 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით".
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1-1/556 - ვებგვერდი, 22.12.2021 წ.*

**მუხლი 2**
ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიიჩნევა შემდეგი წარმოების ლიცენზიატები: ა) შპს „ენგურჰესი“; ბ) შპს „ვარდნილჰესების კასკადი“.

**მუხლი 3**
ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედო ფუნქციონირების მიზნით ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსით გათვალისწინებული ელექტროენერგიის იმპორტის საერთო მოცულობის ფარგლებში, მომწოდებელი ქვეყნის მიხედვით წყაროების ჩანაცვლების შესახებ.

**მუხლი 4**
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — ნათელა თურნავა